



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება #12

2015 წლის ნოემბერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სატყეო მეურნეობის ავტოფარეხის(432.5 კვ.მ.) და საყარაულოს შენობის(12,25 კვ.მ.), ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისთვის“ უსასყიდლოდ სარგებლობაში (უზუფრუქტის ფორმით) გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება -ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სატყეო მეურნეობის ავტოფარეხი (432.5 კვ.მ.) და საყარაულოს შენობა(12,25 კვ.მ., უძრავი ქონების სარეგისტრაციო № 71.51.02.443), სარგებლობაში (უზუფრუქტის ფორმით) გადასცეს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“.
2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი